

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომხდობელი ოსტატობის მსოფლიო

დღეს მოხლოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდა-თიან რაიონებში - 5-10 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 764 მილიმეტრი.
მომდევნო 2 დღეს მოხლოდნელია უნალექო ამინდი.

პირველი ნიუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა და მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა გამო თანაგრძნობა გამოუცხადა. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო მეგობარი თურქი ხალხის გვერდით დგას და მზად არის აღმოუჩინოს ნებისმიერი საჭირო დახმარება. ანკარაში გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაესვა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ქართველი მაშველების მონაწილეობას, ასევე, საქართველოს მიერ აღმოჩენილ ჰუმანიტარულ დახმარებას. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ირაკლი ღარიბაშვილს რთულ დროს მყისიერად აღმოჩენილი დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. პრემიერი ანკარაში დასრულებული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

საქართველო დგას დასავლეთთან ერთად საერთაშორისო ფორუმებზე, დგას უკრაინის გვერდით ჰუმანიტარული დახმარების გაწევით და ეს ძალიან დასაფასებელია, - განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა. მისივე თქმით, დასაფასებელია ქართველი ხალხის პასუხი უკრაინელი ხალხის საჭიროებებზე როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში. «საქართველოს მთავრობამ უპასუხა ინდუსტრიული გენერატორების გაგზავნით იმ დროს, როცა ეს უკრაინელებს ძალიან სჭირდებოდათ, უპასუხა გუშინ გაეროს უშიშროების საბჭოზე რეზოლუციის კენჭისყრისას, რომელიც მოუწოდებდა რუსეთს, გაიყვანოს ძალები უკრაინიდან და შეწყვიტოს ბრძოლა უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ», - განაცხადა ელჩმა.

უარგვეფთ გარკვეული პოლიტიკოსებისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ უკრაინის წინააღმდეგ გამოქვეყნებული ნებისმიერი ბრალდებები საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან ომში ჩაბმის მცდელობასთან დაკავშირებით, - განაცხადა საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ანდრეი კასიანოვმა. მისი თქმით, უკრაინული მხარე იმედგაცრუებულია საქართველოს ხელისუფლების უკრაინაში ჩასვლაზე უარის თქმის გამო.

უკრაინა ომში ამ წელს აუცილებლად გაიმარჯვებს, - განაცხადა «ლელოს» ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ. «მინდა, ერთიანობისკენ მოვუწოდო ჩვენს ერს - თუ არ გვერთიანდით, სასწრაფოდ არ ავაშენებთ სახელმწიფო, რომელიც ჩვენ გვეკადრება, ვერ გავუმკლავდებით გამოწვევებს, რომელიც ისტორიულად გვექონდა და მომავალშიც გვექნება რუსეთისგან», - აღნიშნა ხაზარაძემ.

უკრაინისთვის გმირი მეზობლების მხარდასაჭერად

ბათუმი უკრაინის აგრესორი რუსეთის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის ერთ წელიწადს სხვადასხვა აქტივობით გამოეხმაურა ცენტრალური ბარკის კოლონალებთან სოლიდარობის აქცია მოეწყო. შემდეგ ორგანიზაციამ «მედან ბათუმი» ევროპის მოედანზე უკრაინაში დაღუპული სამხედროებისა და სამოქალაქო პირების ხსოვნის პატივსაცემად ფოტოგამოფენა მოაწყო, რომელიც უკრაინაში პატივითა გმირულ ბრძოლას და ოკუპანტთა სისასტიკეს ასახავდა. ამ ღონისძიებას სილამაზესა და აზრს მატებდა საქართველოსა და უკრაინული დროშების გამოფენაც.



აქციის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ მათი მიზანი უკრაინა-რუსეთის ომში უკრაინელთა თავგანწირვის მაჩვენებელი ერთი წლის შეძლებისდაგვარად ასახვაა. მაგალითად, აქციის ერთ-ერთი მონაწილე ორგანიზაციის წევრები აცხადებენ: «ამ აქციის მიზანია, დავინახოთ გმირების ერთი წელი. უკრაინა ოკუპანტების წინააღმდეგ იბრძვის. მოძრაობა «არ გადადოს» წევრები შევეუერთდით ღონისძიებას, რომ პატივი მივაგოთ უკრაინაში დაღუპული ქართველი და უკრაინელი ჯარისკაცების ხსოვნას».

მერი ანბარიუს აბარებს

ოთარ ცინცაძემ 599 85 21 14
შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მერის ომარ ტაკიძის ანგარიში მოისმინეს. იგი მოიცავდა მუნიციპალიტეტში როგორც სოციალური და განვითარების, ასევე ინფრასტრუქტურულ და კულტურულ სფეროებში განხორციელებულ პროექტებსა და საქმიანობას.

დაფინანსდა 2 123 135 ლარით, აქედან ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები - 917 500 ლარით. განხორციელდა 15 პროგრამა, რომლითაც ისარგებლა 2000-მდე მოქალაქემ. პროგრამებიდან თანხები ძირითადად გაიხარჯა მკურნალობის დაფინანსებასა და მედიკამენტების შეძენაზე. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედებს ორი (ა)იპი - შუამდგომლობის ცენტრი და სოციალური სერვისების ცენტრი. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებიდან ამბულა-



შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერი 5 428 177 ლარი იყო. სხდომაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები მერიის საქმიანობის მთავარი პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც შარშან

ტორიების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 38 584 ლარი, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე - 458 154 ლარი. ვასული წლის აგვისტოდან ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ «ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის», «ასოციაცია ანიკასთან», შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, 107 ოჯახზე გაიწვია დასაცვანა საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამარტივების აუცილებლობაზე, ხოლო 12 საცხოვრებელი სახლი საჭიროებს დემონტაჟს.

იხ. გვ. 33.

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენს რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!
ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!
წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



მიზანი - განსაზღვრული დიაგნოზის მქონე ბავშვებისა და ოჯახების გაძლიერება

ნათი შუტაბაძე 27 48 93

აჭარის განმრთვლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების ფარგლებში, 2023 წელს გაზარდა როგორც დაფინანსების ოდენობა, ასევე მოსარგებლეთა რაოდენობა

პროგრამების საერთო ბიუჯეტი წელს 4 152 200 ლარია. ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები ითვალისწინებს:

„ბავშვთა ფსიქოსომატურ აბილიტაცია/რეაბილიტაცია“ - ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსებას;

„ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“ - ძვალ-სახსროვანი სისტემის

ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები

ბიუჯეტი 4 152 200 ლარი

სტემის სხვადასხვა დეფორმაციის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსებას;

„ბავშვთა ადრეულ განვითარებას“ - განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების გან-

ვითარების სტიმულირებას და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას;

„აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“ - აუტიზმის სპექტრის დარღვე-

ვების მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაციის კურსების დაფინანსებას.

„სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია“ - სხვადასხვა ხარისხის სმენადაქვეითებული, სმენაპროთეზირებული (კოხლარული იმპლანტი, სმენის აპარატი) ბავშვების უზრუნველყოფას მათ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით.

პროგრამების მიზანია განსაზღვრული დიაგნოზის მქონე ბავშვებისა და ოჯახების გაძლიერება, ინკლუზიური განვითარების მხარდაჭერა, სპეციფიკური რეაბილიტაცია/აბილიტაცია, ფიზიკური განვითარების გაუმჯობესება და ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება.

2022 წელს სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის სხვადასხვა კურსი ჩაუტარდა 2 159 ბენეფიციარს.

ახალი პროგრამა - ფერმერებისთვის

ნათი აბუჯაძე 577 20 35 90

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება ახალი სახელმწიფო პროგრამის დეტალებსა და მნიშვნელობაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ ისაუბრა. მინისტრმა პროგრამის საზოგადოებისთვის დეტალურად გაცნობამდე, უწყების მიერ წლებში განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმართულებით შესყიდვის მხარდაჭერის ღონისძიებებზე გაამხვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა ფერმერებისათვის. მიხედვით, ბოლო წლებში თითქმის 70 მილიონი ლარის თანადაფინანსება განხორციელდა პროგრამების სახით, რომელთაც 2600-ზე მეტმა ფერმერმა ისარგებლა. - რამდენიმე კვირის წინ გამო-



ღენის მიწოდება ნალვარევის აღადგინეს

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

- 87 წლისა ვარ, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ღენის მკვიდრმა თამაზ ფუტყარაძემ, - ბევრი დიდთოვლიანი ზამთარი მაქვს და ისიც, რომ ღენი აბონენტებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მოგვეწოდებოდა. 10 დღე თოვლი და ქარბუქი არ გვტოვებს. მიუხედავად ამისა, ღენი გვაქვს.

- ამინდის ჭირვეულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მთისპირა სოფლებში 24 თებერვლის დილის საათებში ისევ თოვლი და მისმა საფარმა 3 მეტრს მიაღწია. გაწმენდილი გზები ისევ დაიფარა. ჩამოწვა ზვავები. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, ყურნაღობით ერთად, სოფელ ქიბინიძეებში საგზაო სამუშაოებს აკვირდებოდნენ, როცა უკან მომავალი თოვლის ზვავში მოჰყვნენ. ბედად, გადარჩნენ. ასეთ ვითარებაში მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტს ღენი რომ მიეწოდებოდა, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შუახევის ცენტრის ხელმძღვანელობისა და მონ-



ტიორთა ენერჯიული შრომის შედეგია. შორეულ სოფელ ნალვარევიში, ცაცხვნარას უბანში, საღენები ჩაწყდა. თოვლზე მავალი ტრანსპორტი

დაიქირავეს და ნალვარევიც აღადგინეს ღენის მიწოდება, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

სკოლას რამაზ სურმანიძის სახელს მიანიჭებენ

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

წუთისოფლიდან ვალმონდილი წავიდა და მოუკიდებლობის აქტზე ხელის მოწერი, 45-ზე მეტი წიგნის ავტორი, პროფესორი, საქართველოს მწერალთა შემაჯობებელით კავშირის წევრი, „საპატიო შუახეველი“, მრავალი სამთავრობო ჯილდოს მფლობელი რამაზ სურმანიძე

რამაზის მშობლიური სოფელი შუახევი. მან დაწყებითი განათლება მაშინ მიიღო, როცა ახლანდელი ჭალის საჯარო სკოლას დაწყებითის სტატუსი ჰქონდა. მდიდარი ტრადიციების საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსახლეობის სურვილია, რომ ამ საგანმანათლებლო კერას რამაზ სურმანიძის სახელი მიენიჭოს. ამ ინიციატივას წინ უსწრებდა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც რამაზ სურმანიძის სახელის უკვდავყოფას უკავშირდება. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დამსწრე დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის ფატი ჭაღალიძის ინიციატივას, რომ შუახევის სკოლადასრულებულ წარმატებულ



სტუდენტებს, რომლებიც ქვეყნისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ

განათლებას, დაუწესდეთ ერთგვარი ფულადი წახალისება.

ვის შეეძლება პროგრამით სარგებლობა?

ნათი აბუჯაძე 577 20 35 90

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უფლებების რეალიზებას, მათთვის ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციას, იურიდიული და სამედიცინო დახმარების ხელშეწყობას ითვალისწინებს, დამტკიცდა. პროგრამით, რომლის ბიუჯეტი 66 550 ლარია, სარგებლობა საქართველოს მოქალაქეებს, დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობის მქონე მიუსაფარ, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, პირადობის ნეიტრალური მოწმობის და სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირებს, ასევე ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს შეეძლება.



გაცხადეთ განაცხადების მიღება მოსავლის აღებისთვის საჭირო ტექნიკის თანადაფინანსებაზე. ახლა მიმდინარეობს შემოსული განაცხადების განხილვა. დაახლოებით 60-მდე ბენეფიციარს დაუფინანსდება მოსავლის ამღები ტექნიკა, მათ შორის, კომბაინები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ბიუჯეტში გამოყოფილი გვაქვს 10 მილიონი ლარი, რომელსაც ჩვენ ამ პროგრამის ფარგლებში მიგმართავთ, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ახალი პროგრამა, ფერმერებისათვის იქნება დამატებითი შესაძლებლობა, მიიღონ ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელთაც შეძლებენ სხვადასხვა აგროტექნიკური სამუშაოების შესრულებას მსოფლიოში დაწერული საერთაშორისო სტანდარტებისა და შესაბამისი აგროვადების დაცვით. მინისტრის განცხადებით, პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ტექნიკის თანადაფინანსებას შემდეგი პირობებით: კოოპერატივის მეპაიეთა რაოდენობა უნდა იყოს ბარში, არანაკლებ 10 და ისინი ჯამურად უნდა ფლობდნენ არანაკლებ 20 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწას. მაღალი მთის შემთხვევაში ეს რიცხვები ნახევრდება - მეპაიეთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს 5-ს და სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - 10-ს. პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსება გავიცემა 50 %-ის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხით კოოპერატივს და მათ მეპაიეთებს ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონ შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით, სადაც სუბსიდირების სახით სახელმწიფო დახმარება.

უწყების ცნობით, პროგრამა გრძელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტზე, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.



თუ პრეზიდენტის ავტორიტეტს ფასადობაზე ასხალებ, დემოკრატიის პრინციპების დასვა აუხილებელია

ლავა ხომიბი 593 50 82 69

სტატია საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საზოგადო მოღვაწე ზვიად გამსახურდიას დამოუკიდებელი ფრაზის ციტირებით უნდა დავიწყო: „რუსეთი ცდილობს საქართველოს ლიბანიზაციას, რომ დასავლეთმა ჩვენს ქვეყანაზე ხელი ჩაიჭინოს, რისი დაშვებაც არაფრის-დიდებით შეიძლება“...

ეს სიტყვები ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ ამ 30 წლის წინ, ანუ სახელმწიფო გადატრიალებამდე თქვა, როცა საქართველოს წინაშე ეპოქალური შესაძლებლობები (დამოუკიდებლობის მოპოვება, რუსეთის გავლენისგან განთავისუფლება, ევროსტრუქტურებში გაერთიანება) იკვეთებოდა, მაგრამ ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა საბედისწერო შეცდომები დაუშვა და ჩვენი ქვეყანა მრავალმხრივ დაზარალდა...

დასამალი არაა, რუსეთი ახლაც ცდილობს საქართველოს ლიბანიზაციას! რას ნიშნავს ეს ტერმინი? შეგახსენებთ, ეს ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს. ლიბანი ირანისთვის საკმარისად შიიტური არ არის, საუდის არაბეთისთვის და ისრაელისთვის ლიბანელები არასანდო ხალხია, სირია სერიოზულად არ აღიქვამს, თურქეთს საერთოდ არ აინტერესებს ეს სახელმწიფო. გარდა ამისა, ლიბანი არ ვითარდება, დროდადრო სამოქალაქო ომი მძვინვარებს. ჩვენ არ უნდა აღმოვჩინდეთ ლიბანის მდგომარეობაში, უნდა გავხდეთ ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამისთვის კი, ექსპერტთა თქმით, საჭიროა, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვწონ და დასავლური რეკომენდაციები შედმიწვევით მიასრულონ, ხოლო მიუღებელ შენიშვნებს და რეკომენდაციებს არგუმენტირებული პასუხი გაცვენ. ამ მიმართებით როგორ ვითარდება საქართველოში? კიდევ კარგი, პოლიტიკოსები ახლა მაინც არ არკვევენ იარაღით თავიანთ სიმატლეს, თუმცა პოლიტიკური სპექტრი ისევ ვერ გაცვდა ბოლშევიკურ სულისკვეთებას: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“ და ერთმანეთს არაერთი უარი სიტყვებით მოვიხსენიებთ. ამას ემატება ისიც, რომ ოპოზიციამ განხეთქილება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. „თუ ოპოზიცია პარლამენტს არ დატოვებს, მაშინ ისინი მმართველ პარტიასთან შეკრულენ იქნებიან და არსებული ხელისუფლების მმართველობის განხარგრძობას შეუწყობენ ხელს“, - აცხადებს შალვა ნათელაშვილი. გარდა ამისა, „მუიარაღებელი თვალთვალისა, რომ „ნაცმოძრაობა“, პრაქტიკულად, ორ ნაწილადაა გაყოფილი. მელიას გუნდი დაუფარავად საუბრობს მერაბიშვილის ფარულ გავლენაზე პარტიაში, რაც, მათი თქმით, ხელისუფლების წისკვილზე ასხამს წყალს. ჩვენ კარგად გვახსოვს პოლიტიკოსების სახეცლოლება. დღეს ერთერთს ძმობას ეფიცებიან, ხვალ მოლაღატებად შერაცხვენ. მაგალითად, ადრე პარტია „ევროპული საქართველოსთვის“ ერთერთი ლიდერი აკაი ბობოხიძე სააკაშვილს აქებდა, დღეს ამ ბობს, რომ მესამე პრეზიდენტი ღირსეულად ვერ იქცევა, მმართველი პარტიის წევრები კი გიორგი გახარას (რომელსაც ადრე ქვეყნის ვადამრჩენს უწოდებდნენ) ახლა მოლაღატედ მოიხსენიებენ... ესეც ქართული პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანია. ამ მხრივ საყურადღებოა ექსპერტ დავით ზურაბიშვილის მოსაზრება: „არსებობს პოლიტიკურმა სპექტრმა რადიკალიზაციად უნდა მოახერხოს გადაჭრული



ბა, შექმნან „ნაცმოძრაობისგან“ პრინციპულად და არსებითად განსხვავებული დღის წესრიგი. ეს ერთი გზაა. მეორე გზა ის არის, რომ გვეყვადეს „ქართული ოცნება“, სანამ თათბის ცვლა არ მოხდება და ახალი პოლიტიკოსები არ მოვლენ“, - განაცხადა ზურაბიშვილმა გაზეთ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში. უდავოა, რომ პოლიტიკოსების განახლება ერთერთი მთავარი საკითხია ქართული პოლიტიკისთვის, რასაც შესაძლოა წლები დასჭირდეს, მანამდე უფრო საყურადღებოა ევროკავშირის 12 პუნქტის შესრულება, რაც ოპოზიციის და მმართველი პარტიის დაპირისპირების საკითხია. ამ შეუთანხმებლობამ შესაძლოა ჩვენი ქვეყანა დაზარალოს. არადა, შანსი გვაქვს ნანატრ ევროკავშირის ოჯახს შევეერთეთ. ეს შესაძლებლობა რუსეთ-უკრაინის ომმა გააჩინა, კანდიდატის სტატუსის მიღება პრაქტიკულად, ევროკავშირის კარებს გაგვიღებს, შესაძლებლობათა ფანჯარა გახსნის, უნდა ვიცოდეთ, რომ დროთა განმავლობაში ეს ფანჯარა დაიხურება, როცა რუსეთი უკრაინასთან ომში დამარცხდება, ცხადია, მოხდება მსოფლიოს ახალი გადანაწილება. სწორედ ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, როგორც ეს 90-იან წლებში მოხდა. მაშინ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ამ შესაძლებლობით ისარგებლეს და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაეროვდნენ... იმ პერიოდში, გარკვეულწილად, გასაგები იყო პირველი ხელისუფლების შეცდომები, მაშინ არც გამოცდილება ჰქონდათ ჩვენს პოლიტიკოსებს და ვერც სახელმწიფოებრივად აზროვნებდნენ. გარდა ამისა, რუსეთის უარყოფითი როლიც დიდად დაეტყო იმ პერიოდს... მაგრამ ერთი და იგივე შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ. როდემდე შეიძლება ქვეყანაში პრინციპული ქუჩაში, ანუ მიტინგების საშუალებით წყვეტდნენ და არა პარლამენტში დისკუსიის და კონსენსუსის საფუძველზე, როგორც ეს დასავლეთშია მიღებული. ამ მხრივ მეტი პასუხისმგებლობა, ცხადია, ხელისუფლებას ეკისრება! ფაქტია, რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რომ ქართველები ერთმანეთს დააპირისპიროს, ანუ ქვეყანაში ქაოსი იყოს, ამას კარგად აცნობიერებენ დასავლეთში. ისინი ცდილობენ, ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის შეთანხმება შედგეს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. ექსპერტები აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ ყურადღებით უნდა გააანალიზოს დასავლური რეკომენდაციები თუნდაც ხუთპროცენტის სიზარტყლით ბარიერსა და ცესკოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, ასევე, საარჩევნო გარემო უნდა იყოს ცივილური, ოპოზიციას კი პარლამენტში საქმიანობის გაგრძელება ურჩევნ. მათი თქმით, დასავლეთი მომავალ არჩევნებს გამადიდებელი

შუთ დააკვირდება. ევროპარლამენტის ამასწინანდელი რეზოლუციის საქართველოსთან დაკავშირებით ქვეყანაში სხვადასხვა შეფასება მოჰყვა. „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერმა კახი კალაძემ ევროპარლამენტის რეზოლუციის კომენტარებისას განაცხადა, რომ ამ დოკუმენტს ჩაღის ფასი აქვს. „რეზოლუცია, რომელშიც სიცრუეზე, სიყალბეზე და კრიმინალების მფარველობაზე მითითებით არის საუბარი, სერიოზული ვერ იქნება“, თავის მხრივ, პარლამენტარი გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ მმართველი პარტია ისტორიულ შანსს გვაკარგინებს: „მმართველი პარტია კვლავ მიზანმიმართული ქმედებებით ამცირებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შანსს“, - ამბობს იგი. აშკარაა, რომ ოპოზიცია ამ მიმართებით ფოკუსირდება ხელისუფლებასთან საბრძოლველად. რა თქმა უნდა, ეს საკითხი მნიშვნელოვანია, მაგრამ არის სხვა საჭირობო საკითხები, რომლებზეც ოპოზიცია სათანადოდ ვერ რეაგირებს. პრაქტიკულად, ოპოზიცია ერთი წლის განმავლობაში ლეგალიზაციის ძილის მდგომარეობაში იყო, რასაც ერთვოდა შუღლი, ურთიერთდაპირისპირება და ა. შ. თუ ოპოზიციამ სათანადო დასკვნები არ გამოიტანა, მმართველ გუნდს არჩევნების მოგება არ გაუძნელდება, მაგრამ საკითხავია, რა სხვაობა იქნება პირველ და მეორე ადგილებზე გასულ პარტიებს შორის? როგორც ცნობილია, არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით ტარდება, რაც გარკვეულწილად, ოპოზიციას აძლევს შანსს, მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა ჰყავდეს პარლამენტში. ისიც ფაქტია, რომ დროთა განმავლობაში ხელისუფლება შეიცვლება. ეს პოლიტიკის დაუწერელი კანონია. ხელისუფლებები არ იცვლება მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებში, ჩვენთან კი ამ 30 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მეთაზე მმართველი პარტია მართავს, სხვა მიზეზებთან ერთად, ამიტომაც ვართ დასავლეთის ყურადღების ეპიცენტრში. თუ პრეტენზიას ევროპულ ფასეულობებზე აცხადებ და თავს დასავლურ ორბიტას მიაკუთვნებ, დემოკრატიის პრინციპების დაცვა აუცილებელია. მსგავსი მინიშნებები უკვე გაისმა დასავლეთიდან. ევროპასა და შეერთებულ შტატებში გაცნობიერეს, რომ სტაბილურობისთვის აუცილებელია პარტიებს შორის შეთანხმება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. დასავლეთში ხელისუფლების ცვლილება ტრადიციულად არ ითვლება, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ძალაუფლების დაკარგვა ან სიკვდილს ნიშნავს, ანდა ციხეში ყოფნას, უეცრად შემთხვევაში - ემიგრაციას... სწორედ ამიტომ მოუწოდებენ ევროპელი ლიდერები საქა-

რთველის ხელისუფლებას, სასამართლო სისტემა დამოუკიდებელი გახადოს. მმართველი პარტია აცხადებს, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია ყოველგვარი ზეგავლენისგან. არსებული ან მომავალი ხელისუფლება გათვალისწინებს თუ არა დასავლეთის ზემოქმედებულ რჩევებს, დრო დავგანახებს, ქვეყნის დღევანდელი რეალობა კი იმას ცხადყოფს, რომ ოპოზიცია და მმართველი პარტია კომპრომისს ვერ აღწევენ ევროკავშირის 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ამის გამო ოპოზიცია გაზაფხულზე გრანდიოზული მიტინგის გამართვას გეგმავს ხელისუფლებასზე ზემოქმედებისთვის. ვიდრე ოპოზიცია მიტინგების გასამართად ემზადება, „ხალხის ძალამ“ ახალი კანონპროექტი „უცხოური გავლენის შესახებ“ წარადგინა პარლამენტში, რამაც პოლიტიკურ სპექტრში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ ეს კანონპროექტი რეალურად რუსულის ანალოგიურია და შინაარსით - ანტიდასავლური. თავის მხრივ, პარლამენტარი სარჯველაძე აცხადებს, რომ „საზოგადოებრივად აქვს უფლება, შედგეს, ვინ როგორ ფინანსდება“, ამ კანონპროექტის შესახებ დასავლეთშიც გაკეთდა შეფასებები. როგორც ჩანს, ეს კანონპროექტი ახალი დაპირისპირების საგანი იქნება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის. პარიზონტზე კვლავ გამოჩნდა გიორგი გახარია: „რეალური ოპოზიცია მისი პარტიაა და „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლების საქმეს აკეთებს“, - აცხადებს ყოფილი პრემიერი. როგორც ჩანს, მესამე ძალაზე პრეტენზიას გახარიას პარტია, „ლელო საქართველოსთვის“ და სამთა ალიანსი („სტრატეგია აღმაშენებელი“, „დროა“ და „გირჩი მეტი თავისუფლება“) აცხადებენ. ამ დრომდე საქართველოში ძირითადი ბრძოლა ორ ძალას შორის მიმდინარეობდა. არადა, ყოველი არჩევნების მოახლოებისას ისეთი სურათი იხატებოდა, თითქოს შეიქმნებოდა მესამე ძალა, რომელიც არჩევნებში კონკურენციას გაუწევდა არსებულ და ყოფილ მმართველ პარტიებს, მაგრამ არც საპარლამენტო და არც თვითმმართველობის არჩევნებში ეს მოლოდინი არ გაამართლა. ამჟამად მიზეზებზე არ ვისაუბრებ, საზოგადოებას, უპირველესად, უნდა აინტერესებდეს, რომელ და როგორ პოლიტიკურ ძალას აქვს პრეტენზია, მართოს ხვალ ქვეყანა? ვინ არიან ისინი? რა შეუძლიათ? უმთავრესი ის არის, რომ, უპირველესად, პოლიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს რეალობა - რა ნდება დღეს მსოფლიოში, რა საშიშროება არსებობს და საიდან ემუქრება საფრთხე სახელმწიფოებრიობას. ამ მხრივ პოლიტიკური მონაცემები ქვეყანაში დიდწილად არსებული ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული, ანუ რამდენად საზოგადოებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ამაზე დამოკიდებულია საზოგადოების რეაქცია. თუ მთავრობა შეძლებს ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოების გამოწვევებს, ანუ არ წამოეგება კრემლის პროვოკაციებს (არის ინფორმაცია, რომ შესაძლოა რუსეთმა აფხაზეთთან, ე. წ. სამხრეთ ოსეთთან და ბელარუსთან ერთად ახალი კავშირი შექმნას), მიიღებს კანდიდატის სტატუსს, მაშინ შესაძლებელია, რომ 2024 წელს იმავე შედეგით მოვიდეს ხელისუფლებაში, რა შედეგებიც 2020 წელს აჩვენა.

უხსოვარი

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუციის პროექტი, რომელიც 2022 წლის შემოდგომაზე უკრაინის მიერ წარდგენილი „მშვიდობის ფორმულის“ ძირითად დებულებებს მოიცავს. ხუთშაბათს საგანგებო სესიაზე აღნიშნულ რეზოლუციას გაეროს 141-მა წევრმა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, დაუჭირა მხარი, 32-მა თავი შეიკავა (მათ შორის ირანმა, ყაზახეთმა, ჩინეთმა), ხოლო 7 წინააღმდეგ წავიდა: ბელარუსი, ჩრდილოეთ კორეა, ერიტრეა, მალი, ნიკარაგუა, რუსეთი და სირია. დოკუმენტი მოიცავს რუსეთის ფედერაციისადმი მოთხოვნას, „დაუყოვნებლივ, სრულად და უპირობოდ გაიყვანოს საკუთარი ჯარები უკრაინის ტერიტორიიდან მის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში“.

ჩვენ ვიზრუნებთ, რომ უკრაინამ გაიმარჯვოს, დაცული იყოს საერთაშორისო სამართალი, აღდგეს მშვიდობა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, აღდგეს უკრაინა და აღსრულდეს სამართლიანობა. ვიდრე ეს არ მოხდება, ჩვენ არ მოვსვენებთ, - აღნიშნულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერების მიერ უკრაინაში რუსეთის შეჭრის წლისთავთან დაკავშირებით გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში. მასში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირი გააგრძელებს უკრაინის მხარდაჭერას პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, ფინანსური და სამხედრო თვალსაზრისით.

ჩინეთთან რუსეთში ლეტალური დაზარალების არანაირი მიწოდებები არ გვინახავს, მაგრამ ვხედავთ ნიშნებს, რომ ამას განიხილავს და, შესაძლოა, ამას გვემთხვევა. - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. როგორც მან აღნიშნა, ჩინეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრია, ხოლო უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომი გაეროს ქარტიას არღვევს. „ამ ქარტიის ძირითადი პრინციპია, პატივს სცემდე სხვა ერების ტერიტორიულ მთლიანობას და ასიათასობით სამხედროთა სხვა ქვეყანაში არ შეიჭრა. რა თქმა უნდა, ჩინეთი ამის ნაწილი არ უნდა იყოს“, - თქვა სტოლტენბერგმა.

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობის დაკავების სურვილი გამოხატა. მან ერთერთი უკრაინული ტელეარხის ეთერში შურნალისტების კითხვებს ასე უპასუხა: „ნატოს სათავეში ჩადგომის მშვენიერი აზრია. მინდა ხაზი გავუსვა, ძვირფასო მეგობრებო, რომ ასეთი ჩანაფიქრი მაქვს და არავის დაავიწყდეს, რომ ასეთი კანდიდატი არის მარაგში. ამჟამად, ვფიქრობ, გამომართლებს“, - თქვა ჯონსონმა.

ევროპარლამენტში კოორდინაციის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ბელგიის პოლიციამ 1,5 მილიონი ევრო ამოიღო, თუმცა, როგორც გამოცემა „პოლიტიკო“ წერს, „ეს შესაძლოა, ფულით სავსე აისბერგის მხოლოდ მწვერვალი იყოს“. გამოცემაში მოიპოვა წვდომა ევროპარლამენტის ყოფილი ვიცე-პრეიერ ევა კაილის დაკავების ორდერზე, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავარმა ექსპერტებმა რამდენიმე მილიონი ევრო მიიღეს.

მომზადდა
ი ა შველიძე

არასამთავრობო ორგანიზაციები მოძრაობა

„ხალხის ძალის“ კანონპროექტს ეწინააღმდეგებიან

ზომი და მასშტაბი 579 25 25 72

თუ საქართველოს პარლამენტი მოძრაობა „ხალხის ძალის“ მიერ შემუშავებულ კანონპროექტს დაამტკიცებს, არასამთავრობო ორგანიზაციები შეწყვეტენ ფუნქციონირებას, ასევე, არ იარსებებს თავისუფალი მედიაც - ასეთია აჭარაში მესამე სექტორის პოზიცია

გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას „თავისუფალი ჟურნალისტიკის“ ხელმძღვანელმა **ასლან ზანიძემ** განაცხადა, რომ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მედიისა და სხვადასხვა ორგანიზაციის შემდეგ საფრთხე ბიზნესსაც დაემუქრება.

კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, არა მგონია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ნებაყოფლობითი რეგისტრაცია მოახდინონ. ამას მოჰყვება დაჯარიმება და ორგანიზაციების რეგისტრაციების გაუქმებაც. ეს კანონპროექტი არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის შექმნის პრობლემას (რომლებიც დახმარებას იღებენ არასამთავრობო სექტორებისგან), არამედ სახელისუფლებო ორგანოებისთვისაც ხელის შემშლელი იქნება. მოგესვენებათ, რომ სხვადასხვა პროექტი ხორციელდება მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში. გვულისხმობს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მედია, არასამთავრობო სექტორი, ბუნებრივია, რომ ეს ყველაფერი გაჩერდება. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: ვინ იქნება შემდეგი? შემდეგი იქნება ის ბიზნესი, რომელიც არ არის დაახლოებული ხელისუფლებასთან. თუ არ იქნებით თქვენ, როგორც ჟურნალისტი, ვინ გააშუქებს ჩემს ნათქვამს? ვინ დაცავს ჩემს უფლებას? სამწუხაროდ, არავინ! - განაცხადა ასლან ზანიძემ.

კანონპროექტის დამტკიცების წინააღმდეგია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ბათუმის ოფისისა და სამოქალაქო საბჭოების კოორდინატორი **მალხაზ ზაქარაია**. მისი თქმით, ის ადამიანები, რომლებსაც არასამთავრობოების იმედს აქვთ, ხელცარიელნი დარჩებიან. იგი ამბობს, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება ევროკავშირისა და ევროპული ბანკების დაფინანსებით და ამაში დასამალი ან დაწინაურებული არაფერია.

თუ ვინმეს წარმოუდგენია, რომ ჩვენი არარსებობით ქვეყანაში უკეთესი ცხოვრება დადგება, ცდება, იმიტომ, რომ, ვფიქრობ, ჩვენ ვართ მნიშვნელოვანი რგოლი, სადაც მოქალაქეს შეუძლია დახმარებისთვის მოგვმართოს სწორედ მაშინ, როცა ყველა უწყება ამაზე უარს ეტყვის. გკითხვთ იმ ადამიანებს, რომლებიც გამოდიან და საუბრობენ, რომ უცხოეთიდან ვიღებთ დაფინანსებას, თუ იციან, რომ ის ავტობუსი, რომლითაც ბათუმში სარგებლობენ, ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის ფულითაა ნაყიდი? ასევე, ნაგავსაყრელი, რომელიც ქობულეთში უნდა აშენდეს, შეგდეთის და ევროპის ერთ-ერთი ბანკის დაფინანსებით ხორციელდება? მინდა შევახსენო ყველას, რომ ევროკავშირმა ჩალო მილიონობით თანხა ქვეყანაში აგროტურიზმის და მეწარმეობის განვითარებისთვის. ასევე ქალების გაძლიერებისთვის და მათი ეკონომიკური ჩართულობისთვის გაეროს რამდენიმე პროგრამამ დახარჯა გარკვეული თანხა. ამ თანხის მიმღებნი და გამტარები სწორედ სახელმწიფო უწყებები და მუნიციპალიტეტებია. ამ ადამიანებს ვეძიებთ, მოიკითხეთ საკუთარ მუნიციპალიტეტებში, რამდენი რამ განხორციელდება ევროკავშირის და ევროპული ქვეყნების დახმარებით. სხვა თუ არაფერი, ქვეყანაში 150-ზე მეტი სკოლა ინფრასტრუქტურულად სწორედ აშშ-ის დახმარებით მოწოდებულია. ფულს როდესაც უცხოური დონორი ორგანიზაცია ან უცხოური სახელმწიფო გვაძლევს ამა თუ იმ სისტემის გასამართავად და მას სახელმწიფო წარმართავს, აი, ამ პროცესს სჭირდება მაკონტროლებელი და სწორედ ამ პროცესის მაკონტროლებლად აღექმებით ჩვენ, - გვითხრა მალხაზ ზაქარაიამ.

საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება ფეისბუქგვერდზე დააფიქსირა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე სექტორის“ ერთ-ერთმა წევრმა **ილია ბუჩინაძემ**. იგი წერს, რომ მესამე სექტორის შუამდგომლობითა და დახმარებით



ბევრი საგანმანათლებლო პროექტი ე. წ. უცხოური ფულით განხორციელდა. აღნიშნული ღონისძიებები

„მინდა შევახსენო ყველას, რომ ევროკავშირმა ჩალო მილიონობით თანხა ქვეყანაში აგროტურიზმის და მეწარმეობის განვითარებისთვის. ასევე ქალების გაძლიერებისთვის და მათი ეკონომიკური ჩართულობისთვის გაეროს რამდენიმე პროგრამამ დახარჯა გარკვეული თანხა“

საზოგადოებისთვის გამჭვირვალეა. - ბათუმში, სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის გაიხსნა ორი სასწავლო-პრაქტიკული სივრცე - თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ინვენტარითა და



ტექნიკური ბაზით აღჭურვილი აკადემიური ბაზის დახმარებითა და დახმარებით

კური ბაზის განახლების პროგრამა - მუზეუმს საჩუქრად გადაეცა ავეჯი, საგამოფენო სტენდები, თანამედ-

„კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, არა მგონია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ნებაყოფლობითი რეგისტრაცია მოახდინონ. ამას მოჰყვება დაჯარიმება და ორგანიზაციების რეგისტრაციების გაუქმებაც“

როვე კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიები. საგანმანათლებლო და სოციალური რესურსებით გაძლიერებისთვის აჭარის და გურიის სოფლებში მცხოვრებ 50 მოსწავლეს, ჯამში, 10 ათას ლარზე მეტი სასწავლო სტიპენდია გადაეცა. აჭარის მაღალმთიან სოფლებში

საჩუქრად გადაეცათ 20 ათასი ლარის სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებები, ვეტერინარული პრე-

პარატები და საბავშვო მხატვრული ლიტერატურა. ეს არის რამდენიმე ამონარიდი „მწვანე სექტორის“ ბოლო სამი წლის საქმიანობიდან, რომელიც სწორედ საერ-



თაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით - „უცხოური ფულით“ განხორციელდა, - წერს ილია ბუჩინაძე.

„მემთეურ ოჯახებს საჩუქრად გადაეცათ 20 ათასი ლარის სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებები, ვეტერინარული პრეპარატები და საბავშვო მხატვრული ლიტერატურა. ეს არის რამდენიმე ამონარიდი „მწვანე სექტორის“ ბოლო სამი წლის საქმიანობიდან, რომელიც სწორედ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით - „უცხოური ფულით“ განხორციელდა“

მეცნებით აქტივობებში მონაწილეობა 2000-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო. მოზადდა არაერთი სასწავლო პროგრამა, კვლევითი ანგარიში და საინფორმაციო გზამკვლევი. ასევე, აჭარის საზოგადოებრივი და საკულტურო-სპორტული ცენტრების მშენებლობის პროგრამა და სხვადასხვა პროექტი. აქტივობების განხორციელება დახმარებულია ევროკავშირის და ევროპული ბანკების დახმარებით.

შევახსენებთ, რომ მოძრაობა „ხალხის ძალა“ „ქართული ოცნების“ გასულმა დეპუტატებმა დააფუძნეს. სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის ახალშექმნილი მოძრაობის ლიდერები არიან.

უკრაინა

„დიდი შვიდეულის“ ჯგუფის (G7) ქვეყნებმა უკრაინის ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულებები 39 მილიარდ აშშ დოლარამდე გაზარდეს. ამის შესახებ ნათქვამია G7-ის ქვეყნების ფინანსთა სამინისტროებისა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელების ერთობლივ განცხადებაში, რომელიც იაპონიის ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ჩვენ, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, განვაგრძობთ უკრაინის გადაუდებელი საჭიროებების დაფინანსებას. 2023 წლისთვის, უკრაინის მთავრობის საჭიროებებიდან გამომდინარე, გავზარდეთ ჩვენი საბიუჯეტო და ეკონომიკური მხარდაჭერის ვალდებულებები 39 მილიარდ აშშ დოლარამდე, - ნათქვამია განცხადებაში. მასში აღნიშნულია, რომ ეს მნიშვნელოვანი ვალდებულებები და მათი სწრაფი განაწილება უკრაინას საშუალებას აძლევს, განაგრძოს ძირითადი სერვისების მიწოდება, განახორციელოს დაზიანებული კრიტიკული ინფრასტრუქტურის შეკეთება და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაცია. ეს ფინანსური მხარდაჭერა ემატება ჩვენს სასიცოცხლო სამხედრო მხარდაჭერას, უკრაინის სამხედრო წვრთნებს, ჰუმანიტარულ მხარდაჭერას და თანამშრომლობის განვითარებას, - ნათქვამია განცხადებაში.



შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა. მისი თქმით, ცხრა წლის წინ მეზობელი აგრესორი გახდა, ხოლო ერთი წლის წინ - ჯალათი, მაროდობი და ტერორისტი. „ეჭვი არ გვეპარება, რომ ისინი პასუხს აგებენ. ეჭვი არ გვეპარება, რომ გამარჯვება გველის“, - განაცხადა ზელენსკიმ. მან 2022 წლის 24 თებერვლი აღწერა, როგორც „ყველაზე გრძელ დღე - ჩვენს ცხოვრებაში“ და „ყველაზე რთული დღე - ჩვენს უახლეს ისტორიაში“. „მაშინ ადრე გავიღვიძეთ და, აქედან მოყოლებული, არ ვიძინებთ“, - განაცხადა ზელენსკიმ. მისი თქმით, უკრაინამ მსოფლიო გააკვირვა, შთააგონა და გააერთიანა. „ამის დასტურად ათასი სიტყვის თქმა შეიძლება, მაგრამ რამდენიმეა საკმარისი: Himars, Patriot, Abrams, IRIS-T, Challenger, NASAMS, Leopard“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მან მაღლობა გააუხადა მოკავშირეებს, საერთაშორისო პა-

რტიორებს და აღნიშნა, რომ პუტინის საწინააღმდეგო კოალიცია იმდენად გაიზარდა, რომ ცალკე მიმართვას საჭიროებს, რომელსაც იგი უახლოეს პერიოდში გააკეთებს. „ეს იყო სიმყარის წელი, სოლიდარობის წელი, სიმამაცის წელი, ტვივლის წელი, იმედის წელი, გამძლეობის წელი, ერთიანობის წელი, ურყეობის წელი, ურყეობის გაცხარებული წელი“, - განაცხადა ზელენსკიმ. *** გმირული უკრაინული წინააღმდეგობის წელი, წინ ერთიანობის მომავალი გველის, - ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების წლისთავთან დაკავშირებით გავრცელებულ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „ბრუტალური რუსული აგრესიის წელი, გმირული უკრაინული წინააღმდეგობის წელი, ევროპული სოლიდარობის წელი, წინ ერთიანობის მომავალი გველის. თქვენ თავისუფლებისთვის, დემოკრატიისთვის და ევროკავშირში თქვენი ადგილისთვის იბრძვებით. ჩვენ იმდენ ხანს ვიქნებით თქვენთან ერთად, რამდენიც საჭირო იქნება“, - განაცხადა ფონ დერ ლაიენმა. *** ახალ პერიოდში შევდივართ, იქნება ჩვენი კონტრიბუტი, - ამის შესახებ უკრაინის

თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე წერს. „ახალ პერიოდში შევდივართ ახალი მიზნით - მოვიპოვოთ გამარჯვება. ერთი წლის წინ ბევრი ელოდა, რომ რამდენიმე კვირაში უკრაინა აღარ იქნებოდა. ყველაფერი შეიცვალა. დღეს მთავარი კითხვაა დღის წესრიგში: როგორ იქნება უკრაინის გამარჯვება? პასუხი მარტივია: გამარჯვება - ეს არის 1991 წლის საზღვრებამდე ყველა ჩვენი ტერიტორიის გათავისუფლება და რუსეთის მხრიდან საფრთხის ლიკვიდაცია“, - წერს რეზნიკოვი. თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში უკრაინა მარტო არ არის და მას 54 ქვეყნისგან შემდგარი კოალიცია უჭერს მხარს. „რა გველის? მეტი იარაღი, მათ შორის უკრაინული - თავდაცვის ყველა ძალისთვის. იქნება ტანკები და ჯავშანტექნიკა. კიდევ უფრო უკეთ ჩამოვაგდებთ ტერიტორიების რაკეტებსა და დრონებს, რომელიც ქვეყნიდანაც არ უნდა იყვნენ. პარტნიორების მონაწილეობით იქნება ჩვენი დამცველების მომზადების პროგრამები“, - წერს რეზნიკოვი. მისი თქმით, ტექნოლოგიების მეშვეობით უკრაინას თავდაცვის ახალი ხარისხი ექნება. „დარტყმებს უფრო ძლიერად და უფრო შორს მივიტანთ - შაერში, მიწაზე, ზღვაში და კიბერსივრცეში. იქნება ჩვენი კონტრიბუტი. ბევრს ვმუშაობთ, რათა იგი მოვაშალოთ და უზრუნველყოთ“, - წერს რეზნიკოვი.

მომზადდა ნაირა ფუტპარამი



ნიჭიერი მხატვარი თათრეთიდან, რომელსაც საქართველომ სითხოვ და სიშვილად აჩუქა

დამატებითი ზოგადი 571 10 30 64

ნიჭიერი მხატვარი **ოვლა კოვალენკო** თათრეთიდან რუსეთში გადასახლდა. აქ დაამთავრა სამხატვრო სკოლა, შემდეგ კი სწავლა გრაფიკული დიზაინის სპეციალობაზე სამხატვრო კოლეჯში გააგრძელა. თუმცა არც ამოზე გაჩერებულა, სახელმწიფო უნივერსიტეტში მოდის დიზაინს დაეუფლა. სტაჟირება იტალიაში, კერძოდ, ფლორენციაში გაიარა. დღეს იგი ჩვენი სტუმარია

- როდის დაუკავშირეთ თქვენი ბედი საქართველოს?

- პირველად საქართველოში 2019 წელს ჩამოვედი და გადავწყვიტე აქ დროებით მეცხოვრა. მანამდე ვაშინგტონში ვცხოვრობდი. «ცხოვრება არის ფერები» ამ სახელწოდებით გაიმართა ჩემი ნამუშევრების გამოფენა ვაშინგტონში. 2020 წელს თბილისში, საქართველოს მხატვართა კავშირის გამოფენაში ვმონაწილეობდი. ჩემი მიმართულება აბსტრაქციონიზმია. ნახატებში ვიყენებ ტექსტურას, კომბინირებულ ტექნიკას. ვმუშაობ სხვადასხვა ქვეყნის დიზაინერებთან, რესტავრატორებთან და არქიტექტორებთან ერთად. მათთან თანამშრომლობისას ბევრი ახალი იდეა ჩნდება, მთელი ჩემი ცხოვრება ხელოვნებასთანაა დაკავშირებული და ეს მაძლევს ენერჯის, ძალას ახალი მიზნებისთვის. ძალიან მიყვარს მოგზაურობა, სიხარულით ივსება ჩემი გული, როცა სხვადასხვა ქვეყნის ბუნებასა და კულტურას ვეცნობი. საქართველოში ცხოვრებამ, მომცა სიმშვიდე და სითბო, ყველაზე მნიშვნელოვანი - ოჯახი. მტკიცედ დავუკავშირე ჩემი ბედი საქართველოს. 2021 წელს ვაგზსენი ჩემი სტუდია ბათუმში, სადაც ვმართავდი შემოქმედებით შეხვედრებს, აგრეთვე მსურველებს ქალაქში ვასწავლიდი.

- არის სიტუაცია, როდესაც გიჭირთ ხატვა? შთაგონების პოვნა მარტივია თუ არა?

- რთულია, ნამდვილად, როდესაც გიწევს ხატვა ემოციის, შთაგონების გარეშე... მე პირადად მიჭირს შთაგონების გარეშე შეკვების შესრულება და უარს ვამბობ ხოლმე მასზე. სულ სხვადასხვა უანრში ვმუშაობ, სტუდენტობის დროს არაერთ მულტიფილმზე ვიმუშავე, ახლა მიზიდავს თანამედროვე ინტერიერი. ამ ეტაპზე ვმუშაობ არქიტექტორებთან და დიზაინერებთან ერთად.



ყოველთვის ვაქვს კონკრეტული სტილი, რაც მიაღწევს შთაგონებას.

- როგორ ახდენთ თქვენი შემოქმედების რეალიზებას?

- აქტიურად ვიყენებ ინტაგრამს, მოგვსენებთ, სოციალური ქსელი დღეს საუკეთესო საშუალებაა საკუთარი შემოქმედების რეალიზებისთვის. ვიღებ შეკვეთებს, დეტალური და ზუსტი ინფორმაციით, დამკვეთი კომპანიისგან თუ კერძო პირისაგან. მყავს ბევრი მომხმარებელი, რომლებიც წლების განმავლობაში თანამშრომლობენ ჩემთან. ვჩრდილები, როდესაც დალილობას ვგრძობ და მივდივარ დასასვენებლად შვედურულაში, რათა ახალი ძალებით გავუმკლავდე ახალ დაკვეთებს.


- გყავთ თუ არა ოჯახის წევრი, რომელსაც ასევე უყვარს ფერწერა?

- ჩემს ოჯახში მხატვრები არ იყვნენ და ამ ხელოვნებას სერიოზულად არ აღიქვამდნენ, მაგრამ მე საკუთარი თავი ერთგული დავრჩი და გავაგრძელე საყვარელი საქმე - ხატვა, რაც ძალიან მამბუნებელია. სადღეობი ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების ნაწილი. რთულია, რომელიმე წლის

გამოყოფა, თუმცა 2018 წელი გარდამტეხი გამოდგა ჩემს ცხოვრებაში, რადგან ის ქვეყანა დავტოვე, სადაც დავიბადე და ჩემი ნიჭის რეალიზება ვერ მოვახდინე.

- რომელი ქართველი მხატვარი მოგწონთ?

- როდესაც პატარა ვიყავი, უბრალოდ, დამაბრმავა ქალბატონმა რუსულან ფეტვაშვილმა და მისმა შემოქმედებამ. ადრეულ ბავშვობაში მისი ილუსტრირებული ქართული ზღაპრები მქონდა. საქართველოში აბსტრაქციონიზმის მიმართულებით ისეთი ხელოვანები არიან, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. 2018 წელს დეტალურად გავეცანი მათ შემოქმედებ-



ას. ბევრ ტილოზე დავინახე ქართველი ხალხის ტიპიკური - განვლილი ომების ანარეკლი.

- რას უსურვებდით ახალგაზრდა თაობას?

- ჩემი სურვილია, ახალი თაობა მიჰყვას ოცნებას, აკეთოს ის, რაც სურს და არ შეეშინდეს შეცდომების. იპოვონ საკუთარი თავი და საკუთარი სტილი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

ROYAL JORDANIAN-ი საქართველოს ბაზრით დაინტერესდა

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, მარკოს ქალაქ ტანჟერში საავიაციო ფორუმი „CONNECT 2023“ დასასრულს უახლოვდება.

ფორუმის მესამე დღეს საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ შეხვედრა გამართა იორდანის სამეფო ავიანაზებთან (Royal Jordanian). იორდანიაში საქართველოში აქამდე ჩარტერული ფრენები სრულდებოდა. შეხვედრაზე ავიაკომპანია ინტერესი გამოხატა რეგულარული პირდაპირი რეისების დაწყებით.

„ფრენების დაწყებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. იორდანიაში საქართველოს მეტი ცნობადობის გაზრდის შემთხვევაში, მგზავრთა კადრი და ტურისტული ნაკადები ამ ქვეყნიდან გაცილებით მეტი იქნება. ამ ეტაპზე, მათი რიცხვი 20 ათასს აღწევს, რაც არ არის პატარა მაჩვენებელი იორდანისთვის. ტურისტული კამპანიების გააქტიურების შემდეგ, ველოდებით ტურისტული ნაკადების ზრდას“, - ნათქვამია საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მათი ინფორმაციით, სამდღიანი საავიაციო ფორუმის ფარგლებში საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ ავიაკომპანია იორდანიაში და აეროპორტებმა 25-მდე შეხვედრა გამართა.

აზიზი ბუბილიძე

მერი ანბარიუს აბარებს

პირველი გვერდიდან

მერის სარეზერვო ფონდიდან ოპერაციები და მკურნალობა დაუფინანსდა 44 მოქალაქეს და გაიხარა 24 836,65 ლარი. განხორციელებულია ჩანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები: სოციალურად დაუცველი ფენისათვის - მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს პროგრამა; მარტონხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთათვის - დახმარების მიზნობრივი პროგრამა; ოპერაციების და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების დახმარების პროგრამა; შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 4 და მეტწილიანი (18-წლამდე ასაკის) ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, რომლებიც მოსახლეობას სასიკეთოდ წაადგა და წელსაც გრძელდება. დაემატება ახალი პროგრამებიც: შარშანაც და წელსაც განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული მიმართულებები მთავარ გამოწვევად რჩება. 2022 წელს კულტურული ღონისძიებები დაფინანსდა 88500 ლარით, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 20 ღონისძიება, მათ შორის, შუამთობა, შუახვეობა, ჯგერამინდობა, კუნტიჭვრება. წლის ბოლოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, სახალწლო ღონისძიება გაიმართა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022-ის ფარგლებში, შუახვევის კულტურის ცენტრის ანსამბლები „ნეკართან“, „ფესვები“, „მარეთი“, ინდივიდუალური შემსრულებლები: ბესო ტარიელაძე, გივი და ტარიელ ბოლქვაძეები, ირმა კეკელიძე გადავიდნენ ფინალში და გადაეცათ შესაბამისი დიპლომები. ა(ა)იპ „შუახვევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის“ გუნდმა წარმატებით გადალახა საქართველოს ახალგაზრდული კოლექტივების VI ეროვნული კონკურსის ორივე ტური და ლაურეატის წოდება მოიპოვა.

პალიტეტის პირველობები მინიფებურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში, ასევე, გომარდულის თასი. შუახვევა ქართულ ჭიდაობაში აჭარის ჩემპიონატს უმასპინძლა. წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის გაიცა ფულადი ჯილდო 18 771 ლარის ოდენობით. საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის 2020-2030 კონცეფციის შესაბამის-



ად, ადგილობრივი თვითმმართველობა მაქსიმალურად ცდილობს ახალგაზრდობის განვითარებისა და მათი პოტენციალის ხელშეწყობას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობასა და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომელიც წელსაც ჩვეულ, აქტიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.

ანგარიშის თანახმად, როგორც ქვეყანაში, ისე შუახვევში მთავარ პრიორიტეტად რჩება ტურიზმის განვითარება. აქტიურად თანამშრომლობენ აჭარის ტურიზმისა და კურო-

რტების დეპარტამენტთან, რომელიც არაერთ პროექტს ახორციელებს. ჯგერამინდობის ტურისტული თავშესაფრები მოეწყო და საპიკნიკე ზონა გაიხსნა. მოსახვედრული სივრცეები აჭარაში ყველაზე გრძელ, ქობულეთი-შუახვევის დამაკავშირებელ, სალაშქრო-სათავადასავლო ტურისტულ მარშრუტზე მდებარეობს. საპიკნიკე ინფრასტრუქტურა მოეწყო სხვა მთებზე. გარდა სახელმწიფო პროექტებისა, შუახვევს კიდევ ერთი ახალი ტურისტული ლოკაცია შეემატება, რომელსაც სოფელ ჩანჩხალოში კერძო ინვესტორი ახორციელებს. ტურისტული სივრცის მოსაწყობად 3 000 000 ლარია გათვალისწინებული. მიმდინარე წელს დეპარტამენტი მოაწყობს 2 ლოკაციას წყალსაყურის თემსა და ლომას მთაზე. ასევე დაიწყება აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ოთოლთას ციხის რესტავრაცია.

შუახვევში შექმნილია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. მუნიციპალიტეტი სხვადასხვა აქტივობით ყოველწლიურად უერთდება 16-დღიან გლობალურ კამპანიას ძალადობის წინააღმდეგ. აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, ასოციაციებთან, კერძო და სახელმწიფო სექტორთან.

შუახვევის მუნიციპალიტეტმა პირველმა ასახა ადგილობრივ ბიუჯეტში მიზნობრივი პროგრამა სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, რომელიც ქალთა გაძლიერებას ისახავს მიზნად. სოფლის მეურნეობის მიმართულებით მუნიციპალიტეტში მოქმედებს: საჩითილე მეურნეობა - დაბა შუახვევში, ვაზის სანერგე მეურნეობა - ახალდაბაში, ხეხილის სანერგე მეურნეობა - ქიძინიძეებში. ადგილობრივები სარგებლობენ ვეტერინარული კლინიკის მომსახურებით. ფერმერებს უფას-

ოდ გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და თამბაქოს ჩითილები, ისარგებლეს აგრობარათებით, სახელმწიფო დახმარების და სხვა პროგრამებით, მათ შორის, აჭარის სოფლის მეურნეობის პროგრამებით ისარგებლა 108 მოქალაქემ, დაიხსნა 165 მექტარი მიწის ნაკვეთი.

შარშან 8 244 000 ლარის 200-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მათგან აღსანიშნავია: სოფლებისა და დაბის ცენტრების კეთილმოწყობა, საგზაო ინფრასტრუქტურა, მეწვერასწინააღმდეგო ღონისძიებები, წყალმომარაგება, მთების ელექტრიფიკაცია, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა.

შუახვევის მუნიციპალიტეტს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კულტურის ცენტრის შენობა ექნება, რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, კულტურული ღონისძიებების ჩარისხის ამაღლებას, დაბის ტერიტორიის იერსახის გალამაზებასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

პროექტი, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში ხორციელდება. მიმდინარეობს ძველი შენობის სრული რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, დაეგმილია ღია მუზეუმის მოწყობაც. მომხსენებელმა, ასევე, ისაუბრა საგანმანათლებლო, სპორტული ობიექტების მშენებლობაზე, მათი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, საავტომობილო გზების კეთილმოწყობაზე.

წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მოსაზრებანი გამოთქვეს დეპუტატებმა ზვიად დიასამიძემ, ზაზა დავითაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ.

- სდომანზე 8 პროექტი განვიხილეთ, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო მერის ომარ ტაკაძის ანგარიში შარშან გაწეული მუშაობის თაობაზე. ანგარიში სიღრმისეული და შინაარსიანი იყო. დეპუტატებმა გარკვეული მოსაზრებებიც გამოთქვეს. საქმიანობა დადებითად შეფასდა, - თქვა როსტომ ლორთქიფანიძემ.




„თქვენ ყველაზე უკეთ იცით, რა არის რუსული აბრეხი, რა უბედურება მოაქვს“

ქალაქ კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ გუშინ რუსეთის გამაზრებელი უკრაინის მხარდამჭერი აქციის მონაწილეებისადმი მიმართვისას განაცხადა, რომ დარწმუნებულია, უკრაინა და საქართველოც გახდებიან ევროკავშირის წევრები და ვერავინ შეუძლებს ჩვენს ხალხებს თავიანთი ცივილიზებული არჩევანის გაცნობიერებაში. მისივე თქმით, რუსულ აგრესიას უბედურება, სიკვდილი და ნგრევა მოაქვს.

„მინდა, მაღლობა გადავუხადო ქართველ ხალხს უკრაინელთა ბრძოლის მხარდამჭერისთვის! თქვენი სოლიდარობისთვის და თქვენი პოზიციისთვის. თქვენ ყველაზე უკეთ იცით, რა არის რუსული აგრესია. რა უბედურება, სიკვდილი და ნგრევა მოაქვს. როგორც დიდი ხანია რუსეთი მეზობელი ქვეყნების ოკუპაციას. ქართველები არამხოლოდ მორალურად უჭერენ მხარს უკრაინელებს და ჩვენ ამას ვაფასებთ, თქვენი ჯარისკაცები ჩვენს გვერდით იბრძვიან უკრაინის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის.“

პატივს ვცემთ 36 მამაცი ქართველის ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ უკრაინისთვის რუსი ბარბაროსების ფართომასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან. დაიჭრა მრავალი ჯარისკაცი, ნაწილი რუსებმა ტყვედ აიყვანეს. ჩვენ მაღლობდებით ვართ თქვენი გამბედაობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სურ-



ვილისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინა და საქართველოც, რომლის ხალხიც დემოკრატიული ევროპისკენ მიისწრაფვიან, წარმატებით გაივლიან ამ გზას. ჩვენი ქვეყნები გახდებიან ევროკავშირის წევრები. ვერავინ შეუძლებს ჩვენს ხალხს, გააცნობიერონ თავიანთი ცივილიზებული არჩევანი! დღეს, ჩვენ ასევე ვიცავთ ევროპას და მის ღირებულებებს. დიდება უკრაინას! დიდება საქართველოს! დიდება გმირებს!“, - აღნიშნა კლიჩკომ.

ამირან ბურთიანი

პირველი LEOPARD-ები - უკრაინას

პოლონეთის მთავრობის სპიკერმა პიოტრ მიულერმა გუშინ „ტიტრის“ პირად გვერდზე გაავრცელა ინფორმაცია, რომ პოლონეთმა უკრაინას პირველი Leopard 2 ტანკები გადასცა.

„უკრაინას პოლონეთიდან პირველი Leopard-ები მიეწოდა. პრემიერ-მინისტრ მატეუს მორავეცის დღევანდელი ვიზიტი მნიშვნელოვან სასაიათს ატარებს უსაფრთხოებისთვის უკრაინასა და ევროპაში“, - წერდა მიულერი.

აღნიშნული ინფორმაცია კიევის სიტყვით გამოსვლისას მორავეცის დედადასცხურა: „დღეს აქ არა მხოლოდ მხარდამჭერის სიტყვებით ჩამოვდივარ, არამედ ცოდნით, რომ ასეთ ბარბაროსულ აგრესიას ძალით უნდა გვეცეს პასუხი. დღეს, როგორც პირველმა ევროპულმა ქვეყანამ, მინდა სიმბოლურად გამოვცე, ვოლოდიმირ, პირველი ოთხი პოლონური Leopard 2A4 ტანკი“. მან ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში უკრაინას პოლონეთისგან მეტი ტანკი გადაეცემა და ევროკავშირისა და ნატოს პარტნიორებს იგივეს გაეცემისკენ მოუწოდა.



ამირან ბურთიანი

ქვეყნის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ერთიანი სისტემის მოდელის განხორციელება აჭარიდან იწყება

აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) ინიციატივით, აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური სქემისა და ინსტიტუციონალური მოდელის განხორციელება სამუშაო ვერსიის განხილვის მიზნით, ბათუმში მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მათი ცნობით, ღონისძიებაზე, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არიშვიდი და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) პროგრამის ხელმძღვანელმა ქეთი ვარდოსანიძემ გახსნეს, 17 იანვარს ბათუმში გამართული პირველი სამუშაო შეხვედრისას წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემების გავალისწინებით, განახლებულ პროექტზე იმსჯელეს.

„კომპანია STS-ის ექსპერტების მიერ განხორციელებული აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური სქემისა და ინსტიტუციონალური მოდელის სამუშაო ვერსია რამდენიმე ეტაპს მოიცავს და ქვეყანაში, ამ მიმართულებით, ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რაც შე-



საბამის საკანონმდებლო ცვლილებებშიც აისახება.

ორ სესიად გამართული ღონისძიება განახლებული დოკუმენტებისა და შეგროვილი მონაცემების ანალიზს, სამუშაო ფორმატში დისკუსიას, გენერალურ სქემასა და შესაბამის შემოთავაზებებთან მიმართებით მუნიციპალიტეტების დამოკიდებულებების, ხედვების, საჭიროებებისა და გამოწვევების განხილვას დაეთმო.

სამუშაო შეხვედრა, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები

ამირან ბურთიანი

რვენი კუთხის ტრადიციების კვალდაკვალ...

სკოლის გარეთ ჩატარებულ აქტივობებს, რომლებიც არაფორმალურ განათლებას ემსახურება, დიდი როლი აქვს მოზარდის სრულყოფასა და განათლებაში. ამ მიზნით გადავწყვიტეთ, დაგ-

მაკეტებით, აღწერილი შრომით პროცესებით, სიამოვნებით უსმენდნენ ფოლკლორულ სიმღერებს... მოსწავლეები ალაფროვანა ქემალ თურმანიძის მიერ შესრულებულმა ხეზე კეთილობის ნიმ-



კეთვადიერებისა ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმი. აქ გამოფენილი ექსპონატები შთაბეჭდავი და საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის. ისინი გუ-

შუბმა... ემოციებით დატვირთულმა აჭარულმა საჭაპურის დავაგემოვნეთ - ესეც ხომ ეთნოგრაფიის ნაწილია, ჩვენი კუთხის სავიზიტო კერძი.

ტრადიციებისა და რიტუალების ახალი სახელმძღვანელო

აჭარაში ახალი გზამკვლევი - „ხალხური ტრადიციები და რიტუალები“ შეიქმნა. ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციაშია აღნიშნული.

სახელმძღვანელოში, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მოამზადა, 70 აჭარული ტრადიცია და ხალხური რიტუალია შესული. დეპარტამენტის ცნობით, რიტუალებს შორისაა ქორწინებასთან, ბავშვის აღზრდასთან, საზოგადოებრივ-საოჯახო, სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ტრადიციები და წესჩვეულებები.

„აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ტრადი-

ციები და რიტუალები საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, ამიტომ ისინი საკმაოდ ტრანსფორმირებული სახითაა შემორჩენილი. მათში შემონახულია არა მხოლოდ ხანგრძლივ სამეურნეო-შრომით პროცესში დაგროვილი ემპირიული გამოცდილება, არამედ ხალხის საქმიანობასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული ბევრი სხვადასხვა ტრადიცია, სულიერი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი: რწმენა-წარმოდგენები, მაგიურ-რიგიოზური რიტუალები და დღესასწაულები, სიმბოლოები, სიტყვიერი მავა, სარიტუალო კერძები, რომლებიც თითქმის ყველა დღესასწაულს ამშვენებდნენ, ხალხური რელიგიური აზროვნების სხვადასხვა ასპექტი“, - ნათქვამია წიგნის წინასიტყვაობა-

ში.

„აჭარული ტრადიციებისა და ხალხური რიტუალების გზამკვლევის ბეჭდური ვერსია დაინტერესებული პირებისთვის აპრილიდან იქნება ხელმისაწვდომი. მასში ყურადღება მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან, საინტერესო ხალხურ რიტუალსა და ტრადიციებს ეთმობა, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესო იქნება, როგორც ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების, ისე ვიზიტორებისთვის. აჭარის კულტურული გზამკვლევის შემდგომ რიგით მეორე სახელმძღვანელოა, რომელიც ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ტურიზმის სექტორისთვის მოამზადა,“ - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან ბურთიანი



ლისყურით ათვისებდნენ ყველაფერს, ერთმანეთს მიუთითებდნენ ცალკეულ ნაკობაზე, ემოციებს გამოხატავდნენ, დაინტერესდნენ აჭარის რეგიონისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაკობების

ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩემი აღსაზრდელებისთვის.

ციცილო ხაჯიშვილი, ქ. ბათუმის №4 საჯარო სკოლის სპეცმასწავლებელი

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარინა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p>გამომცემი - შპს</p> <p>«ბაზაქიი აჭარა და ალპარია»</p> <p>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშაძის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>აიწყო და დაკაბალონა</p> <p>გაზეთი აჭარის კომპ. ცენტრი</p> <p>დასაბავსებლ ხელშეწყობილია 24/02/23, 21 სტ.</p>	<p>დირექტორი</p> <p>მამუკა პერიკი</p>
---	---	--	--	--	---

ბობო, რობელი „ჯეოსტარში“ დაიწუნეს, უსხოური მებაპროექტების პარსკვლავი გახდა

დაიწუნა ბაბაიძე 514 22 22 80

ჩვენი თანაქალაქელი, 30 წლის თათია კობალაძე უსხოური მებაპროექტების ვარსკვლავი გახდა. ის ქართული X ფაქტორის მონაწილე, უკრაინული X ფაქტორის (2015 წ.) ფინალისტი, თურქული The Voice-ის ფინალისტი (2020 წ.), ყაზახური Voice-ის ფინალისტი (2021 წ.), საქართველოს მინი-ოსკარის - „2022 წლის ხმა“ მფლობელი და თურქეთის The Voice-ს (2022 წ.) გამარჯვებულია

თათია 2010 წელს პროექტ „ჯეოსტარში“ მონაწილეობდა, მაშინ 17 წლის იყო. კონკურსზე 11 თვის შვილით მივიდა. ყიურის ერთ-ერთმა წევრმა მარინა ბერიძემ მის შესრულებას საკმაოდ ცუდი შეფასება მისცა და, თათიას თქმით, უსამართლო კომენტარი გააკეთა. ტელევიზიაში გასულ, დაჩვილ სიუჟეტს თან ეს კომენტარი დაერთო და... გოგონა ბულისების მსხვერპლი გახდა. რამდენიმე დღის წინ თათია კობალაძემ თავის სოციალურ გვერდზე ვიდეოკრებები დადო, სადაც მისი გამოსვლებია როგორც „ჯეოსტარში“, ასევე უსხოური მებაპროექტებში, ვიდეოს მილიონობით ნახვა, გაზიარება და საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. **თათია კობალაძე** ჩვენი სტუმარია.

- რომელია ბირველი მასშტაბური პროექტი, რომელშიც მონაწილეობდით?

- ეს იყო უკრაინული X ფაქტორი 2015 წელს, თუმცა მანამდე - საქართველოს ბროექტებიდან „ჯეოსტარი“, „საქართველოს ვარსკვლავი“, „ნიჭიერი“, „X ფაქტორი“, „გოგონა“... არც ერთს არ ვტოვებდი, სამწუხაროდ, არსად მომიცა ჩემი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

- მაგრამ რამდენიმე ქვეყნის მასშტაბური პროექტის ფინალისტი და გამარჯვებული ხართ.

- დიას, ასეა, უკრაინული X ფაქტორის, თურქული და ყაზახური Voice-ის ფინალისტი და თურქეთის The Voice-ის გამარჯვებული ვარ. ჩემს რეპერტუარში ძირითადად, ინგლისურენოვანი სიმღერები სჭარბობს, თუმცა ახლახან ჩავწერე თურქული სიმღერა. საქართველოს კონკურსებისგან განსხვავებით, საზღვარგარეთ ერთად ვარჩევდით სასურველ სიმღერას, აქ პირიქითაა - თვითონ გვარჩაობენ, რა უნდა შეასრულო. ესადაგება თუ არა მათ მიერ შემოთავაზებული სიმღერა შენს ვოკალურ მონაცემებს, არ აინტერესებთ. სხვა ქვეყნებში სხვანაირი მიდგომა აქვთ - მენტორი, პროდიუსერები, მუსიკალური ზემოქმედებები თითოეულ კონკურსანტზე ზრუნავენ.

- თურქული სიმღერის ჩაწერის იდეა როდის და რატომ გაგიჩნდა?

- თურქული სიმღერა თურქეთში მომხდარ მიწისძვრისთან დაკავშირებით ჩავწერე, რატომღაც მომინდა. ზუსტად ერთ ღამეში ვისწავლე. სიმღერას საკმაოდ დიდი გამოხმაურება და მოწონება მოჰყვა.

- რას ურჩევთ დამწყებ მომღერლებს, ვისაც ის გზა აქვთ გასაგლედი, რომელიც თქვენს გაიარეთ?

- ვურჩევ, თუ კონკურსში მონაწილეობას გადაწყვიტენ,

რაც უნდა უთხრან მარინა ბერიძემ და მისმა „გამოზრდილებმა“, ყიურის წევრებმა, ხელი არ ჩაიქნიონ, თუ მართლა უნდათ სცენაზე დგომა, წარმატებით გასცენ პასუხი ამ უსამართლო ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებას უნადგურებენ კონკურსანტებს. ფარხმალი არასდროს დაჯაროთ, იბრძოლეთ.

- ბირველი კონკურსანტი არ ხართ, ვინც საქართველოში უარყოფითი შეფასებები მიიღო, საერთაშორისო პროექტებში კი დიდ წარმატებას მიაღწია. რატომ ხდება ასე?

- ყოველთვის ასე ამბობენ: იცი, რა, მაშინ არ იყო ასეთი კარგი, მერე დაიხვეწო. როდესაც კონკურსზე მიდის 17 წლის ასაკში და, მით უმეტეს, 11 თვის შვილით, მინიმალური ქალური სოლიდარობა მაინც უნდა გამოეჩინათ მარინა ბერიძეს თანაგრძობით, ლამაზად რომ ეთქვა ჩემთვის: იცი, რა, თათია, ახლა პატარა შვილი გყავს, ძალიან რთული პერიოდი გაქვს, მოდი, დროს ნუ დაკარგავ, იმეცადინე და შემდეგ სეზონზე გამოდი, ვნახოთ, რა იქნებაო, ეს სხვა რამეა. ამ შემთხვევაში მეწყინებოდა, მაგრამ არ გავამტყუნებდი და ასეთი რეაქცია არ მექნებოდა.

- ცუდად უღერს, მაგრამ უნდა გეთხოვთ: საკუთარი ქვეყნის კონკურსში დაწუნებულმა და დამცირებულმა, როგორ შეიძლება არ გაჩერდეთ, სხვა ქვეყნებში სცადეთ ბედი?

- ამ ყველაფერმა მოტივაცია მომიცა. კონკურსი იმისთვის არსებობს, რომ რაღაც ისწავლო, განვითარდე, აბა, ჩამოყალიბებული და ვარსკვლავს რა უნდა კონკურსში? ვიდრეოთი გადავწყვიტე ყველასთვის პასუხის გაცემა. ეს ჩემი გამოსვლების პატარა კრებულაა. დავიწყე „ჯეოსტარით“ და უცხოეთის კონკურსებში გამოსვლებით დავასრულე. ამით ყველაფერი ვთქვი. ადამიანებმა სწორად გამოგეს და, ალბათ, ამიტომაც მოჰყვა ჩემს ვიდეოს ამხელა გამოხმაურება - მილიონამდე ნახვა და გაზიარება აქვს. 2010 წელს თუ მთელმა საქართველომ დამცინა, დღეს პირიქითაა. ძალიან მალე მნახავენ ამერიკის „ნიჭიერი“... იქიდან ვიტყვი ჩემს სათქმელს.

- თქვენს ვიდეოკრებულზე გიწერათ „მადლობა“...

- ეს იყო ირონიული მადლობა, სევდითა და ტკივილით სავსე, თუმცა... მადლობა, რომ გამაძლიერეთ, რადგან ერთ სიტყვას შეუძლია ადამიანის განადგურება!

- როგორც ვიცი, ბირველი სოლო კონ-



ცერტი გაქვთ.

- დიას, 26 თებერვალს, ბათუმში. ეს იქნება საქართველოში ჩემი უკანასკნელი კონცერტი. მივდივარ ამერიკაში ოჯახით საცხოვრებლად, რადგან გადავედი ამერიკულ „ნიჭიერი“ში.

- როდის გექნება თქვენი სიმღერის პრემიერა?

- საკუთარი სიმღერის პრემიერა მინდა მქონდეს ჩემს სოლო კონცერტზე, რამდენად მოვასწრებ, არ ვიცი, ჩაწერის პროცესშია. ბირველი სიმღერის ავტორი ვარ მე, მეორე სიმღერა კი ყაზახეთში დაწერეთ მე და ყირგიზმა კონკურსანტმა. ძალიან მომწონს, მაგრამ ალბათ, ზაფხულში ჩავწერ. ეს სიმღერა იქნება ინგლისურენოვანი, თუმცა, ვინც მიკეთებს არანსერებს, მეუბნება, რომ ქართულენოვანიც უნდა გავაკეთო. ვისაც მოვასმინებ, ყველას რწმენამ გადამარჩინა, ანრი ჯონსის. მეკითხებიან, მართლა შენ დაწერე?

- თქვენს შემოქმედებით გეგმობთ რას გავიტყვით?

- განვლილი 13 წელი ყველაზე რთული და საშინელი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში - კონკურსები, ჩავარდნები... არადა, უნდა დამემტკიცებინა, რომ შემიძლია! საკუთარი თავის რწმენამ გადამარჩინა. უკრაინული „X ფაქტორი“ იყო ყველაზე დიდი გავკეთილი, იქ ვისწავლე ყველაფერი, რაც სცენას უკავშირდებოდა, ვოკალური მონაცემებიც განვავითარე, უფრო მეტი სტიმულიც მომიცა. ახლა არ უნდა გავჩერდე, 1 თვის წინ შევაგავ 7 კონკურსზე განაცხადი, რომელიმედან დამირეკავენ. საუბარია უცხოეთის ქვეყნების კონკურსებზე, ესენია: გერმანია, იტალია, საფრანგეთი... სხვადასხვა ქვეყნის მებაპროექტებში ვაპირებ მონაწილეობას.



„რანდე-ვუ“ - წარსულის სურნელით სავსე ლიტერატურულ-სალონური საღამო

შენობაში (მემედ აბაშიძის ქ. №25), სადაც წლების წინათ წიგნების მაღაზია იყო, ამჟამად კი რესტორანია, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ თითქოს ლამაზ წარსულში დააბრუნა სტუმრები. ამ კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე შენობის ლამაზ ინტერიერში გამართულ საღამოზე, რომელსაც სახელიც სიმ-

როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე თენგიზ დოლიძემ გვითხრა, ეს ღონისძიება ურბანული ძეგლის პოპულარიზაციას ემსახურებოდა. უნდა ვთქვათ, რომ მსგავსი სალონური-ლიტერატურული შეხვედრები, უდავოდ, წაადგება არა მარტო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პოპულარიზაციას,

და მოწვეულმა სტუმრებმა წაიკითხეს ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და პოეტების ლექსები, როგორებიც იყვნენ ზურაბ გორამაძე, გალაკტიონ ტაბიძე და ა. შ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ყველასთვის საყვარელი და ნაცნობი თანამედროვე ქართველი მწერლები, პოეტები და მსახიობები“, - გვითხრა თენგიზ დოლიძემ.

რასაკვირველია, მსახიობ მაკა შალიკაშვილისა და სულხან წულუკიძის წაკითხული ლექსები შესანიშნავ ატმოსფეროს ქმნიდა სალონური ურთიერთობებისთვის. სტუმრებისთვის სასიამოვნო იყო თემურ ჭკუასელის ახალი წიგნის, მისივე ავტორაფთო, საჩუქრად მიღებაც. ესეც იმ ძველი მაღაზიის ტრადიცია გახლდათ. წლების განმავლობაში აქ იმართებოდა წიგნების პრეზენტაციები, რომლებსაც შემდეგ ავტორები დამსწრეებს საჩუქრად გადასცემდნენ.

სტუმრებს შორის იყვნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეები, ქალაქის საკრებულოს წევრები და ბათუმის საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

„ეს საღამო იყო იმის გამოხატულება, რომ აქ არ გამქრალა წიგნის სურნელი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ გვარჩენა, რომ კვლავ ცოცხლობს კულტურ-



რული ტრადიციები, რომლებიც ჩვენს ქალაქს ყოველთვის უზღებოდა, გვარჩენა ისიც, რომ ბათუმელებს ძალიან მოეწონათ ეს გახსენება წიგნის საყოველთაო სიყვარულისა“, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელიძემ.

მარი მიდსელო



ბოლური - „რანდე-ვუ“ (ქართულად - პაემანი) შეურჩიეს, ბათუმელები - მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები ერთმანეთს ისეთ გარემოში შეხვდნენ, რომელიც აზრთა გაზიარების, საყვარელ წიგნებსა და, ზოგადად, ხელოვნებაზე საუბრისთვის გიწვევს. სამხედრო და სააზროვნოდ, პირველ რიგში, თემურ ჭკუასელის მემუარული ხასიათის „ორიენტირის ძიებაში“ წიგნის წარდგინება განაწყოდათ. ეს წიგნი მერვე ბატონ თემურის შემოქმედებაში, რომელსაც კარგად იცნობენ ჩვენს ქალაქში, როგორც ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტს. მან თავად წარადგინა საკუთარი წიგნი.

არამედ გიჟური რიტმით ატანილ ჩვენს ყოველდღიურობასაც, რომელსაც ცოტათი მაინც შეაჩვენებს და წარსულის იმ სურნელით აავსებს, რომელიც ბათუმს თავის განუყოფლობას შეახსენებს, უბიძგებს, რომ ეს არასოდეს დაივიწყოს.

ჩვენ ან დღეს გავაცოცხლეთ ტრადიცია, რომელიც ამ მაღაზიაში ბევრი წელი არსებობდა. ღონისძიების ფარგლებში ხსენებული წიგნის პრეზენტაციის გარდა გაიმართა სალონური საუბრები, მოეწყო პოეზიის თეატრალური კომპოზიცია, დაიდა რამდენიმე ცეკვა, მათ შორის ტანგო საყვირზე შესრულებული აკომპანიმენტი, ადგილობრივმა

